ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2345372

ნომერი: AR1362478

თარიღი : 08.12.2015

გაცემის თარიღი : 15.12.2015

გაცნობის თარიღი : 15.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შუამთა , N 1 , მიმდებარედ (ნაკვეთი 24/053)/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , (III) მასივი , კვარტალი 7, N7 კორპუსის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , შპს "ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ნიჟარაძე პ/ნ 01024013053
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 9 ბ. 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1362478 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინაღმდეგებით სამსახურში რეგისტრირებული #AR1359895 და #AR1359855 განცხადებებით მოთხოვნილი საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 27 ნოემბერს #AR1359895 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ოთარ პირველმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ჯავახეთის ქ. შპს "ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ / ვარკეთილის დასახლება, III მასივი, VII კვარტალი, კორპ. #7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.20.024.079) დამხმარე შენობის განთავსების ნებართვა, სამსახურის #2335989 გადაწყვეტილებით აღნიშნული განცხადება დარჩა განუხილველი.

2015 წლის 09 დეკემბრის სმსახურის #2324509 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შ.პ.ს "ვარკეთილი 96"–ის მიმდებარედ/ ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი (III) მასივი, კვარტალი 7, #7 კორპუსის მიმდებარედ, შ.პ.ს. "ვარკეთილი 96"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.20.024.079), გაიცა წერილობითი თანხმობა I კლასის 2,1 მ. სიმაღლის ღობის განთავსებაზე.

ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილებები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR1359895 და #AR1359855 განაცხადის ნომერი.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის #01.19.20.024.126 მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge